საქართველოს პარლამენტი

2025 წლის III კვარტლის ეკონომიკური ზრდის ტემპის პროგნოზი

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
აგვისტო

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, **2025** წლის **III** კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი დადებითი იქნება და **6.1%** დაფიქსირდება.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2025 წლის III კვარტალში რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი დადებითი იქნება და 6.1% დაფიქსირდება. მშპ-ის მოსალოდნელი ზრდა 2025 წლის მესამე კვარტალში განპირობებულია კოვიდ პანდემიის შემდგომ დაწყებული გაუმჯობესებული ეკონომიკური მდგომარეობის შენარჩუნებით. მიუხედავად იმისა, რომ 2025 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკის ზრდის საბაზისო ეფექტი მაღალი იყო (2024 წლის მესამე კვარტალში ეკონომიკა გაიზარდა 11.0%-ით), ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება კვლავ გრძელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდა 2025 წლის II კვარტალში. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებით, 2025 წლის II კვარტალში საშუალო რეალური ზრდა 7.1%-ით განისაზღვრა, რაც ჩამორჩება პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მეორე კვარტლის პროგნოზს (7.5%)[1].

საბიუჯეტო ოფისის 2025 წლის მესამე კვარტლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი ემყარება დაშვებებს, რომ 2024 წლის მესამე კვარტალთან შედარებით:

- ტურიზმის მოცულობა[2] დაახლოებით 1.0-ჯერ გაიზრდება (2019 წლის მეორე კვარტლის პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით დაახლოებით 1.1-ჯერ ნაკლები). ამავე დროს გაიზრდება ქვეყნიდან გასული ვიზიტორების რიცხოვნობაც;
- ტურიზმის ექსპორტის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად,კვლავ შენარჩუნდება შიდა ტურიზმის აქტივობა;
- გაიზრდება როგორც კერძო მოხმარების, აგრეთვე ინვესტიციების მოცულობა, რაც განაპირობებს მთლიანი მოხმარების და ინვესტიციების ზრდას, შესაბამისად, ეკონომიკური აქტივობის აღნიშნულ დადებით ტემპს;
- მთავრობის საინვესტიციო აქტივობების ზრდასთან ერთად, გაზრდილი მოხმარების და კერძო ინვესტიციების პარალელურად მოსალოდნელია, რომ გაიზრდება საქონლის სავაჭრო ბრუნვის მოცულობა.



*პროგნოზის ინტერვალი აღნიშნავს დიაპაზონს, რომელშიც მშპ-ის ზრდის ტემპი იქნება მოცემული. ინტერვალის შეფასება მიღებულია ცენტრალური პროგნოზისა და გასული წლების კვარტალური ეკონომიკური ზრდებიდან ±0.5 სტანდარტული გადახრის ჯამით.

1. www.parliament.ge

2. საერთაშორისო მოგზაურების ვიზიტების რაოდენობა შეფასებულია, ამავე მაჩვენებლის, წინა პერიოდების ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით

აღნიშნული დაშვებების რაოდენობრივი შეფასების შედეგად მოსალოდნელია,რომ 2025 წლის მესამე კვარტალში იმპორტის მოცულობა უფრო მეტად გაიზრდება და წმინდა ექსპორტის კომპონენტი -10.4%-ული პუნქტით განსაზღვრავს ეკონომიკური აქტივობის ცვლილებას, ხოლო აბსორბციის (მოხმარების და ინვესტიციების ჯამი) კომპონენტი მნიშვნელოვნად გაიზრდება და მშპ-ის ცვლილებას 15.7%-ული პუნქტით განაპირობებს*. საბიუჯეტო ოფისის გაანგარიშების მიხედვით, 2025 წლის მეორე კვარტლის ეკონომიკური ზრდის შეფასებაში წმინდა ექსპორტი -8.4%-ული პუნქტით, ხოლო აბსორბციის კომპონენტი 15.6%-ული პუნქტით განისაზღვრა.



*2025 წლის III კვარტლის მშპ-ის ზრდის დეკომპოზიცია. საბიუჯეტო ოფისის შეფასება.



აღსანიშნავია, რომ 2020 წელს დაფიქსირებული მკვეთრი ეკონომიკური კლების გამო, ქვეყნის ეკონომიკა პოტენციურ დონეს ჩამორჩებოდა და, შესაბამისად, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის უარყოფითი გაპი დაფიქსირდა. თუმცა, 2021 წლის მეორე კვარტალში დაფიქსირებულმა მაღალმა ეკონომიკურმა აქტივობამ ეკონომიკური ზრდის პოტენციურ დონეს გადააჭარბა და, შესაბამისად, მშპ-ს დადებითი გაპი დაფიქსირდა. აღნიშნული ტრენდი შენარჩუნებული იქნა მომდევნო წლებში და 2025 წლის I და II კვარტალშიც. საბიუჯეტო ოფისის პროგნოზით, ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი შენარჩუნდება 2025 წლის III კვარტალში და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა მის პოტენციურ დონეს გადააჭარბებს, ანუ მშპ-ს გაპი დადებითი იქნება.

2025 წლის II კვარტალში წლიური ინფლაციის საშუალო მაჩვენებელმა 3.6% შეადგინა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე მეტი.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს დაფიქსირებული საშუალო წლიური ინფლაციის მკვეთრი ზრდის (11.9%) შემდეგ, 2023 წლიდან აღნიშნული მაჩვენებლის კლება ფიქსირდება. სამომხმარებლო ფასების ინფლაცია მნიშვნელოვნად შემცირდა 2023 წლის მეორე კვარტლიდან (1.6%), რაც, ძირითადად, მსოფლიო ბაზარზე ნავთობსა და სურსათზე ფასების კლებით იქნა გამოწვეული. აღნიშნული შემცირების ტენდენცია გრძელდება, რის საპასუხოდაც საქართველოს ეროვნული ბანკი ეტაპობრივად ახდენს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის შემცირებას. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებით, 2024 წლის 31 იანვარს, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5 პპ-ით შემცირდა, 13 მარტს - 0.75 პპ-ით, ხოლო 22 მაისს - 0.25 პპ-ით და 8.0% შეადგინა, რამაც საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური აქტივობის ზრდას. აღნიშნული ფაქტორი გავლენას იქონიებს ინფლაციის მაჩვენებელზე, კერძოდ ზრდის მიმართულებით.



<u>დამატებითი ინფორმაცია:</u>

<u>წლიური მაკროეკონომიკური პროგნოზები</u>

<u>განმარტება მაკროეკონომიკური პროგნოზების მოდელის შესახებ</u>

საქართველოს პარლამენტი

2025

აგვისტო